სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას თორმეტი წლის ოცდაექვს ივნისს მე, მარიამ ოძელაშვილს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი №7ა-ს მიმდებარე ტერიტორია, მომმართა: **მარიამ სვანაძემ,** როგორც **შპს "კოდა +"-ის დირექტორმა (რეგისტრირებული 07/06/2010წ. საიდენტიფიკაციო კოდი: 404864107).** მან განაცხადა, რომ სურს გასცეს მინდობილობა **თინათინ რევაზიშვილის** სახელზე. მე შევამოწმე **მარიამ სვანაძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მარიამ სვანაძემ** (დაბადებული 28.08.1982 წ. თბილისში, პირადობის მოწმობა №ა 1271282, პირადი № 01007008734, გაცემული 22.05.2009 წ. სრს ისნის სამსახურის მიერ, მცხოვრები: თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის კვ. 1, კორპ.1, ბ. 27) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომლის ტექსტიც მოიწონა **მარიამ სვანაძემ** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თორმეტი წლის ოცდაექვს ივნისს, მე, **მარიამ სვანაძე,** როგორც **შპს "კოდა +"-ის დირექტორი (რეგისტრირებული 07/06/2010წ. საიდენტიფიკაციო კოდი: 404864107),** ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **თინათინ რევაზიშვილს** (დაბადებული 11.12.1987 წ. თბილისში, პირადობის მოწმობა №ა 0648638, პირადი № 01011054580, გაცემული 10.03.2005 წ. თბილისის ისნის სმრ სამსახურის მიერ, მცხოვრები: თბილისი, ფშავის 41) რათა იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის: **სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სააგენტოს ნებისმიერ სამსახურში, ქ. თბილისის მერიაში, თბილისის არქიტექტურის სამსახურში, თბილისის ზედამხედველობის სამსახურში.** აღნიშნულიდან გამომდინარე ჩემი სახელით აწარმოოს საქმეები - შეაგროვოს, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ცნობები, დოკუმენტი, შეიტანოს განცხადებები, გადაიხადოს სახელმწიფო მოსაკრებლები, საჭიროებისამებრ მოაწეროს ხელი ჩემი სახელით სათანადო დოკუმენტაციას.

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში.

მინდობილობა გაცემულია 6 (ექვსი) თვის ვადით.

ნოტარიუსის საზღაური: 12 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებისა სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ: მუხლი 31 და მუხლი 39)

შპს "კოდა +"-ის დირექტორი მარიამ სვანაძე

_____

ნოტარიუსი: **მარიამ ოძელაშვილი**

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

10380213675212

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120665888

რეგისტრაციის თარიღი

26.06.2012 წ

ნოტარიუსი: მარიამ ოძელაშვილი
მისამართი: გამსახურდიას გამზირი 7ა-ს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 2725572

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18